№ 49. 4 მარტი, კვირა. 1866—1884 4 მარტი, კვირა. № 49.

«დროების» რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.
ხელის-მოწერა მიიღება თბილისში რედაქციაშივე, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»
ფასი: წლით 9 მ., 11 თვით—8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ, 8 თვით—7 მან.; 7 თვით—6 მ.; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვ.—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე ორი კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენაზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.
ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

## „დროების" ფასი პირველის მარტიდამ წლის დამლევამდე 8 მანათი.

**გორის მაზრის მხმარებელთა საზოგადოების გამგეობა უცხადებს ბ.ბ. საზოგადოების წევრთა, რომ 18 მარტს გორის ქალაქის გამგეობის დარბაზში იქნება ჩვეულებრივი კრება განსახილველად წლიური ანგარიშისა და საზოგადოების შემდეგი მოქმედებისა. (6—1)**

## გაზეთი «მშაკი» და «კავკაზის» დღე-ნაკლული პუბლიცისტი.

«გაზეთი «მშაკი» ამას იქით კვირაში ორჯერ გამოვა, რადგან იმის რედაქტორს თავისი საკუთარი საქმეები გაუჩნდა»,—ასე მოკლედ ჰხსნის სომხური გაზეთი «მშაკი» თავის «გაძვირსტუმრების» მიზეზს; ამას იქით იგი კვირაში ხუთჯერ აღარ შეაწუხებს თავს მკითხველს და მხოლოდ ორჯერ ესტუმრება.

ამ გვარი განცხადება მართალია რომ უადგილო და შეუფერებელია; არ არის კარგი, რომ გამომცემელმა მთელი წლის ფული წინდაწინვე აჰკრიფოს და მასუკან თავის მკითხველებს დაპირებული ველარ შეუსრულოს, თუმცა ჩვენ გვგონია, რომ ის კაცი, რომელიც ამდენი ხანი ერთგულად და უსასყიდლოდ ემსახურებოდა საზოგადოებას, შეუსრულებს მას ამ დანაკლისს.

ჩვენ გვჯერა, რომ ნამდვილი მიზეზი «მშაკის» შემოკლებისა უფრო რედაქტორის „საკუთარი საქმეები» და არა სომხის საზოგადოების გულ-გრილობა, როგორც «მშაკის» რედაქცია უსაყვედურებს; ჩვენ ვიცით, რომ ეს გაზეთი კარგად იყო დაყენებული, დიდი თანაგრძნობა ჰქონდა სომხის საზოგადოებაში მოპოებული, ბევრს მასალასაც აძლევდა მკითხველს და სამართლიანად ირიცხებოდა საუკეთესო სალიტერატურო ორგანად. ისიც ვიცით, რომ უკანასკნელ წლებში «მშაკის» შემოსავალი ჰფარავდა ყოველსავე გასავალს და თანამშრომლებსაც საკმაოდ ასაჩუქრებდა.

ახლა ის მოისმინეთ, თუ როგორ შეჰხედა ამ მოვლენას გაზეთმა «კავკაზმა» და მისმა დღე-ნაკლულმა პუბლიცისტმა, რომელსაც, როგორც ეტყობა, ფიქრი და აზროვნება მხოლოდ წუთიერად შეუძლიან და დიდხანს რომელსამე საგანზედ გონების გაჩერება საჭიროდ არ მიაჩნია. ეს პუბლიცისტი ბძანებს: ადგილობრივი ლიტერატურა კავკასიაში ძალ-დატანებით არის გამოწვეული და ამიტომ დიდი დღე არა აქვსო; ჩვენს საზოგადოებაში თითქმის არ არის ლიტერატურის მოთხოვნილება, იგი კაკლის ნაჭუჭში მოთავსდება და ამიტომ ხშირად შეხვდებით ამ გვარს განცხადებას: «შეუძლებლობისგამო და სხვ. და სხვ. ვსპობთ ჩვენს გამოცემასაო».

ბ. პუბლიცისტს რომ პატარა შორსდაკვირვება ჰქონოდა და წუთიერად ფიქრისათვის რომ თავი დაენებებინა, მიხვდებოდა, რომ არის სხვა უმთავრესი მიზეზი, რომელიც ხელს უშლის ჩვენებურ გამოცემებს და რომელზედაც «კავკაზის» პუბლიცისტმა კრინტიც არ დასძრა და საზოგადოების მოუმზადებლობა კი გაჰხადა ანადაც და ჭ-დაც ჩვენის ლიტერატურის შეფერხებისა. თუ ესმის ხსენებულს პუბლიცისტს, თუ რა არის ძალ-დატანებით გამოწვევა, უნდა სცოდნოდა, რომ ამ გვარს ნიადაგზედ აღმოცენებულს ვერ დაუძახებს კაცი იმ მწერლობას, რომლის სიტყვასაც მისჩერებია მთელი საზოგადოება და რომლის გამოსვლა ლახვრად მიაჩნიათ ბნელაში მიმალულ ბოროტ-მომქმედებს; უნდა სცოდნოდა, რომ მთელი რუსეთის მოწინავე ლიტერატურა ძვირფასად აფასებს პროვინციალურ მწერლობას და იგი მიაჩნია უმთავრეს სახსრად ადგილობრივი საზოგადოების წარმატებისა. «კავკაზის» ლოღიკას რომ მივდიოთ პროვინციალური მწერლობა ძალად არის აღმოცენებული და მაშასადამე... ბარემ გაათავეთ, თუ დღე-ნაკლულობა არ დაგიშლით... და მაშასადამე მთელი ეს ლიტერატურა რომ გაუქმდეს, არავის რა დააკლდება, არცა რა ვის მოემატებაო.

ადგილობრივი სალიტერატურო ორგანოები, პუბლიცისტის სიტყვით, ძალად აღმოცენებულნი, არც ხუბსიდიებს იღებენ, არც ხაზინის განცხადებებს, არც სავალდებულოა მათი კანცელიარებში დაბარება, მაგრამ მაინც შეძლებისა და გარემოებისამებრ მოქმენდებენ და ემსახურებიან საზოგადო საქმეს, თქმება არა ნაკლებ იმ ორგანოისა, რომელშიაც ნავარდობს დღე-ნაკლული პუბლიცისტი.

მაგრამ თუ ამ პუბლიცისტს მარტო «გუბერნიის უწყებები» მიაჩნია ბუნებრივ ნიადაგზედ აღმოცენებულად, მიაჩნდეს და იუწყოს მათგან სწავლა და მეცნიერება!

## შინაური ქრონიკა

⁂ პაჭრობის დაცემამ ჩვენს ქალაქში რამდენიმე გაკოტრება გამოიწვია და, როგორც ხმები ისმის, მოამავალშიაც ბევრს ამ გვარივე ხვედრი მოელის. ქალაქში ჩურჩულით ლაპარაკობენ ერთი მდიდარი ფაცის მემკვიდრეების საქმეების აშლა-დაშლაზედ, კიდევ ერთი მდიდარი მოიჯარადრის გაკოტრებაზედ.

⁂ „მოსკოვის უწყებებში" გამოცხადებულია, რომ ბ. არწრუნი თავის ქარვასლას ჰყიდის 700,000 მანათად თბილისის სადგილ-მამულო ბანკის 400,000 მანათის ვალის გადატანით.

## «დროების» ფელეტონი, 4 მარტი.

### კვირის საუბარი.

*ჯერ გაგვებუტნენ ესკულაპები, მერე გაგვიჯავრდენ.—ხიდების ცუდლუტობა.—უდარდელი სიღნაღი.—ოსების ბედნიერება.—«კავკაზის» ცელიწკება.—P. S. ბ. ხუდადოვის გამო.*

ჩვენ სრულებით არ უნდა გვიკვირდეს, როდესაც მოხელე კაცი ცოტა შეიჩმუჩნება ხოლმე, რაკი მის თავმოყვარეობას შეეხები. მართლა და კაცი იმათს მდგომარეობაშიც უნდა შევიდეს, თორემ რა გამოვიდა. მოვალეობის ასრულება კარგია, მაგრამ მართლა თავსაც ხომ არ შეაკლავ იმ რაღაც მოვალეობას, მეტადრე მაშინ, როდესაც პირდაპირი მთავრობა მხოლოდ ცალი თვალით დაგხედავს ხოლმე, ისიც ათასში ერთხელ და მომეტებულ დროს კი თითქმის შენი არსებობაც გადავიწყებული აქვს. ამისთანა გარემოებაში შენ ისე სცხოვრობ, როგორც შეჰფერის ყოველს პატიოსანს მოხელეს: ხაზინასთან გაქვს შენ სატრფიალო კავშირი, რომელსაც განაახლებ ყოველს ოცს რიცხვს ყოველი თვისას; არხეინადა სჭამ და სვამ; შეურყეველად და აღუშფოთებლადა გძინავს; თუ ქეიფის მოყვარე ხარ, არც ამას მოგაკლებს შენი ყურ-მოჭრილი მრევლი; ათასში ერთხელ კარგ ლუკმასაც გაიგდებინებ, ვინც ჩაგივარდება ხელში, და ამით ამრავლებ და აღორძინებ შენს უმანკო შემოსავალს. ერთი სიტყვით, ღვთისა და მთავრობის წყალობით, არა გაკლია-რა.

უცებ გამოჩუყვრება ვინმე და საქვეყნოდ გაგონებს შენს მოვალეობას! მერე თუ მთავრობამდისაც მიაწია ამ ხმამ, მაშინ... მაგრამ რაღა მაშინ!... მაშინ, მგონი, მოსაკლავადაც არ დაინდო ის ვილაც არის.

მკითხველი დამეთანხმება, რომ ეს წოველივე შეადგენს ჩვენი დროის ფსიხოლოგიურს მოვლენას, მაშასადამე, თვით ბუნების კანონს, რომელსაც წინ ვერ გადაუდგება ჩვენებური მოხელე...

***

აბა, სწორედ ამ ფსიხოლოგიური კანონის ბრალი გახლდათ, რომ ასე შეურიგებლად გაგვებუტნენ ჩვენი ესკულაპები, როცა მოვაგონეთ მათ თავიანთი მოვალეობა, შესახებ ქუნთრუშისა და ყვავილისა, რომელთაც ასე უწყალოდ შეათხელეს დიდი და პატარა, სოფლებშიაც და ქალაქებშიაც. მართალია, ჩვენის მხრით უადგილო იყო ასეთი მოგონება, ამიტომ რომ რა ჩვენი საქმეა, აზარალებს ვისმე ავადმყოფობა, თუ არა, ანუ უგდებენ ყურს ექიმები ხალხსა და ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, თუ არა! მაგრამ რა კი ერთხელ გაგვიტაცა უადგილო კაცთ-მოყვარეობამ, მერე ველარ დავიჭირეთ თავი, და ამის გამო სამართლიანად გაგვიწყრნენ ექიმები. ტყუილად კი არ არის ნათქვამი:

«მე გაწყენ, შენ შემომწყრები,
წესია ამ სოფლისაო.»

მხოლოდ ჩვენ უნდა მალე მოგვეგლო ამ წყენისათვის ბოლო და შევრიგებოდნეთ. ესეც ამა სოფლის წესია. ეხლა ბოდიშის მეტი არა დაგვრჩენია-რა, რომ ჩვენ მაინც არ დავიშალეთ ექიმების განკიცხვა უმოქმედობის გამო, გავამჟღავნეთ, რომ ავადმყოფობას არ ებრძვიანო, და ამით დავიმსახურეთ თვით ბ. კ—ის გაჯავრება. თუ სხვა დროსაც ასრევე ვერ შევიმაგრეთ თავი, კიდევ მოვიხდით ბოდიშს—«უკაცრავადაო»—და იქნება გვაპატიონ...

***

დალოცოს ღმერთმა ყოველ გვარი რაპორტები «ოტნოშენიე» და «პრედპისანიები». კავთისხევი განახევრა ქუნთრუშა-ყვავილმაო, იძახის ხალხი, პატრონი არა გვყავსო. მთავრობას უკვირს ასეთი მუდარება—«აკი მანდ ჩაგიყენეთ პატრონი, მაშ რას აკეთებს, თუ არა გპატრონობთო? ეგ სიცრუეაო.» მიფრინავს «ოტნოშენიე» პატრონად აღიარებულ პირთან—«მართალია თუ ტყუილი ეს ხმებიო?» პატრონი თავის თავს ხომ არ დაბეზღებს, და ამიტომ მოფრინავს რაპორტი—«ყოველივე ამათ გახლავთ ქვეყნიერობაში; ავადმყოფობაც ამაოებას შეადგენს, ისეთს ამაოებას, რომელზედაც არა ღირს ილაპარაკოს თქვენმა კეთილშობილებამ; აქედგან აშკარაა, რომ ქუნთრუშა-ყვავილს ჯერ

ფოთიდამ გვწერენ, რომ წარსულს კვირას იქ გადაცვლილა ბანკის თავმჯდომარე გ. სტ. მავროპატორა და 18 მარტისათვის დანიშნულია საზოგადო კრება ბანკისა, როგორც თავმჯდომარის, ისე სხვა თანამდებობის პირთა ამორჩევისათვის.

მეტის-მეტად გახშირდა ჩვენში საზარელი ჩვეულება ერთმანეთში მტრობით ცეცხლის წაკიდებისა. მაგ., სოფ. ნაფიჩხოვიდამ (სენაკის მაზრა) მოგვივიდა წერილი, რომელშიაც ჩამოთვლილია რამდენიმე ამ ცოტას ხანში მომხდარი შემთხვევა ამ წუწკი და საზიზღარი ავაზაკობისა. ხალხს ისე გასჭირებია საქმე, რომ გუბერნატორისათვის მიუმართავს თხოვნით, რომ ამ ბოროტ-მოქმედებას რაიმე წამალი დასდვას.

«არა არს დაფარული, რომელი არა გამოცხადდეს»,—ეს წმინდა სიტყვები, ალბად, არას დროს არა სმენია გორის მაზრის ეგზეკუციის უფროსს, თორემ ისიც ეცოდინებოდა, რომ ერთისა და ორის პირის თავიდამ მოშორებით არაფერი დაიმალება და ბოლოს ყოველივე გამოცხადდება. ერთი კვირის წინად ეს ყველგან-მყოფი ეგზეკუცია სწვევია სოფ. გომსაც და მის უფროსს შეურაცხება მიუყენებია ერთის პატიოსანი ყმაწვილი კაცის ბ. მახარობლიძისათვის, როგორ თუ შენ გაჰბედე და ჩვენს მოქმედებას თვალ-ყურს ადევნებ, რომ მერე საქვეყნოდ გაგვხადოო. უნდა მოვაგონოთ ეგზეკუციის უფროსს, რომ ვისაც ცოდვა არ ჩაუდენია, გამოცხადებისაც თავის დღეში არ შეეშინდება.

ჩვენ მოგვივიდა ახალი წიგნი, თ. გრ. ორბელიანის ლექსები, მესამედ გამოცემული ბ. ზ. ჭიჭინაძისაგან. ამ გამოცემაში ჩართულია ხუთი ახალი ლექსი, რომელთა შორის სამზედ („ნეტარ მას ვინცა", „ამა სოფელს დამშთომიეს" და „ახ ვითა გშვენის"), დიდი ეჭვი გვაქვს, რომ ორბელიანს ეკუთვნოდეს, თუმცა გამომცემელი ამბობს, რომ ეს ლექსები თითონ პოეტმა თავის ლექსებად იცნოვო და პატარა ხანს უკან უმატებს,—ჩვენი მწერლობის მცოდნე პირთა გაარჩიონ და თუ ორბელიანის ლექსები არ არის, შემდეგს გამოცემაში გამოსტოვონო. ეს ხომ ასე იქნება, მაგრამ თუ მართლა გრ. ორბელიანმა ეს ლექსები თავისად იცნო, ეჭვს აქ რაღა ადგილი უნდა ჰქონდეს? ჩვენ გვიკვირს მხოლოდ, როგორ აკადრა გამომცემელმა ავტორს ეჭვის აღება და სხვის ლექსების მითვისება შესწამა. მაგრამ ჩვენა ვფიქრობთ, ავტორს თავის დღეში დასახელებული ლექსები თავის ლექსებად არ უცვნია და ეს მოგონება გამომცემლის ფანტაზიის ნაყოფი უნდა იყოს.

წიგნი ორ გვარად არის გამოცემული. კარგ ქაღალდზედ დაბეჭდილი ღირს 1 მან., მეორეზედ 50 კ.

## რუსეთი

— უკანასკნელს ხანებში გამოსცეს ახალი წესები შესახებ საზოგადო ბიბლიოთეკებისა და საკითხავი კაბინეტების გამართვისა. საჭიროდ ვრაცხთ ამ ახალ წესებზე, როგორც თანამედროვე მიმართულების შეფერებულს მოვლენაზე, მივაქციოთ მკითხველების ყურადღება. ეს ახალი წესები არიან შემდეგნი: 1) ბიბლიოთეკების ან საკითხავი კაბინეტების დაარსების და გამართვის მსურველნი, მთავრობისათვის თხოვნით მიმართვისათანავე, ვალდებულნი არიან დაასახელონ ის პირი, რომელიც პასუხის-გებას კისრულობს. იმ შემთხვევაში თუ პასუხის-მგებელი გამოიცვალა, მეორე არ დაინიშნება მთავრობის ნება-დაურთველად. 2) მთავრობას, რომელსაც მინიჭებული ექმნება უფლება ბიბლიოთეკების გამართვის ნების-დართვისა, შეუძლიან საკუთარის უფლებით გარდააყენოს ბიბლიოთეკების და კაბინეტების გამგებელნი და ყველა მათში მოსამსახურე პირნი, თუ კი მან რაიმე მიზეზისა გამო ისინი სცნო არა კეთილ-საიმედო პირებად პოლიტიკურის მხრით; 3) შინაურ საქმეთა მინისტრმა უნდა აცნობოს ადგილობრივ მთავრობათა—თუ რა გვარი ნაწარმოებნი მწერლობისა აღკრძალულ უნდა იყვნენ ბიბლიოთეკებში; იმავე მინისტრს უფლება ექმნება დაჰკეტოს ყოველ-გვარი საზოგადო ბიბლიოთეკები და საკითხავი კაბინეტები, თუ კი ეს ზომა მან საჭიროდ და სასარგებლოდ სცნო.

ამ წესებმა უნდა იქონიონ შესამჩნევი გავლენა როგორც თვით ბიბლიოთეკების რიცხვზე და ღირსებაზე, აგრეთვე თვით მწერლობისა და ჟურნალ-გაზეთობის გავრცელებაზე. რუსული გაზეთი «Русскія Вѣдомости» გაგვიმარტავენ მოყვანილს წესებს. გაზეთი ამბობს: «ჩვეულებრივის ცენზურისა და ბეჭდვის საქმეთა უმაღლესის მმართველობის ზედამხედველობის გარდა, არსდება კიდევ ახალი სპეციალური ზედამხედველობა, რომელსაც დანიშნულებად ექმნება გზა შეუკრას მწერლობის გავლენას მკითხველების გონებაზე, წიგნი, ჟურნალი ან გაზეთი შეიძლება აღკრძალულ იქმნენ ბიბლიოთეკებში სმხმარებლად, თუნდაც ისინი ცენზურის მიერ ნებადართულნი იყვნენ. ყველა ეს წესები, თუ კი ისინი სრულად შემოღებულნი იქმნებიან, უეჭველია, იმოქმედებენ არა მარტო ბიბლიოთეკების საქმეზე, არამედ მთელს მკითხველს საზოგადოებაზე. ბიბლიოთეკების გამართვა შეიქმნება არა საიმედო საქმედ და არც შემოსავალს მისცემს პატრონსა. მომეტებული გავლენა ექმნება იმ ჟურნალებისა, გაზეთებისა და წიგნებისა აღკრძალვას, რომელთაც მკითხველი საზოგადოება თანაუგრძნობს, რადგანაც მათს აღკრძალვას შეუძლიან შეამციროს მკითხველების რიცხვი და ამასთანავე ბიბლიოთეკების პატრონების შემოსავალიც. ზოგიერთა ბიბლიოთეკები სრულიად დაიკეტებიან იმ შემთხვევაშიაც კი, როცა მათ ადმინისტრაცია კარგის თვალით უცქერის. ამასთანავე შემცირდება რიცხვი მწერლობის ნაწარმოებათა, რომლებსაც ბიბლიოთეკები ასაღებენ; ცხადია, რომ მწერლობის შემავიწროებელ პირობათ უნდა მიემატოს კიდევ ერთი ახალი გარემოება. სასურველია, განაგრძობს გაზეთი, რომ ახალი წესების შემოღების დროს მხედველობაში მიიღონ შეუძლებელი მკითხველი საზოგადოებისა და ჩვენი მწერლობის მოთხოვნილებანი და საჭიროებანი".

— ვილნის გუბერნატორად დღემდის იმყოფება გენერალი ტოტლებენი, რომელიც ამ ჟამად ძალიან დაუძლურებულია ავად-მყოფობისაგან, რის გამოც, როგორც ამბობენ, ტოტლებენი დასტოვებს თავის ადგილს. ვილნოში გუბერნატორის მოვალეობის აღსასრულებლად დანიშნეს გენერალი კახანოვი, რომელსაც მიანიჭეს გუბერნატორის თანაშემწეს ადგილი. კახანოვმა მიიქცია ყურადღება სიტყვით, რომლითაც მან

---

ფეხიც არ შემოუდგამს ქავთისხევში, და რასაც მაგაზედ ლაპარაკობენ, ეგ სიცრუე და მიქარვააო, ნუ დაიჯერებოო». თბილისელ მოხელეობას, რასაკვირველია, სჯერა თავის მინდობილი პირის სიტყვა და მისი რაპორტი მიაჩნია ცადამ მონაბერ ჭეშმარიტებად. „აღარ გაჰბედოთ მაგეთი ხმების გავრცელება, თორემ ცრუებად გამოგიყვანთ, საზოგადოებაში გიმოგასალმებთო»...

***

ერთი სიტყვით, ყველაფერი რომ რაპორტებზე იყოს აშენებული, აბა, კარგი ის იქნებოდა. მაგრამ, მოდი შენა და რაპორტებზე ააშენე ასეთი უშექილო და უშველებელი რამ, როგორიც არის, მაგ., მდინარეზე გასადები ხიდი! მთქვათ, თბილისი დიდი ქალაქია და აქ კიდევ მოსახერხებელია ასეთი მძიმე საქმე—აგერ, მუხრანისა და ვერის ხიდები აქამდისაც ჯერ ისევ რაპორტებზე არიან წამოჭიმულნი; მაგრამ, ერთი მიბძანეთ, ამ პაწაწუნა ქალაქმა გორმა რა საშუალება უნდა იხმაროს თავის ხიდზე, რომ ათას ჭორებსა და სამდურავს აიცდინოს თავი! მანამ ჯერ საქმე ქაღალდებსა და პლანებს არ გასცილებოდა, მანამ კიდე არა უშავდარა—გორელები მოხერხებულნი არიან, ნავტიკებითაც გადი-გამოდიოდენ თავიანთ მტკვარზე. მაგრამ როცა ქაღალდი შეიცვალა რკინის ბოძებზე, სვეტებზე, მავთულებზე და სხვა მასალაზე, რომელიც უნდა ნამდვილ ხიდად გასდებოდა ამ მოუსვენარს მტკვარს,—მაშინ გაწყრა ღმერთი და ამ მზა-მზარეულმა ხიდმა ცულლუტობა კი გამოიჩინა: ერთი რაღაცნაირად მოიხრუშტა, შეიკუმშა, თითქო აქლემის კუზიაო, იკლო თავიდამაც და ბოლოდამაც და... რაღა და?.. დამოკლდა, ბატონებო, შეაგდო ქვა, შეუშვირა თავი და იმისი გაგძელება ველარას გზით ვერ მოხერხდა. აბა, ოინბაზობა თუ გინდათ, ეს არის!..

ადგებიან ეხლა და ხიდის საწყალს გამპლანავს დაუწყებენ მასხარად აგდებას, გასასაცილოვებას. გამპლანავმა რა ქნას, თუ კი ჩვენში ასეთი ცულლუტობაა მოდებული სულიერს და უსულო საგნებზე. ერთი თავის მაგიერ რომ ათასი გოგრა ჰბმოდა ხიდის გამპლანავს, გორის ხიდი მაინც შემოკლდებოდა, ან სხვა რამ ეშმაკობას გამოიჩენდა.

არა, ყველა ოინი გორში უნდა მოხდეს: კალოშები გინდა, იქ იკარგებიან; ხიდები გინდა, იქა მოკლდებიან; სატუსაღოები გინდა, იქ იმსებიან «ავაზაკებით»... რა გინდა, იქ არა ხდება! ჯერ თითონ ხიდიც რომ გორს თავის ჯიბიდამ არ აუშენებია! მერე ხიდის ნაკლული მხრების ამოსავსებად რომ გლეხები გამოულალნია და, ხიდის შემოსავალი, რომელიც იმავე გლეხების ჯიბიდამ დაიწყებს დენას, ქალაქმა გორმა უნდა ჩაიჩხრიალოს!..

***

ამ შემთხვევაში სიღნაღისთანა «ჰეჰ და გორმანიშალი!» არის თავისთვის წყნარად, უდარდელად. ხიდები იმას არ უნდა, ამიტომ რომ ჭკვიანი ქალაქია, იმ თავითვე დაჰშორებია მდინარეების დავიდარაბას და ეხლა სასმელი წყალიც კი არა აქვს და არცა ცდილობს, რომ იქონიოს, გაიკეთოს ცოტა რიგიანი წყაროები. სიღნაღი!.. სიღნაღი არამცთუ წყალზე, არაფერზედაც არა ცდილობს. ანკი რად უნდა ეცადოს რაზემე! ხომ ღმერთი უწყენს. სიღნაღი ძალიან ღვთის მოყვარეა. იმან კარგად იცის, რომ კაცი მარტო ღვთისთვის უნდა ჰფიქრობდეს. ხვალისთვის ზრუნვა სიღნაღს თითქმის დანაშაულობად მიაჩნია. ამიტომაც არის თავისთვის კეთილ-მორწმუნედ განშორებული ყოველსავე ქვეყნიერობის ვაი-ვაგლახს. მიკუნჭულა თავისთვის მაღალი მთის კინწერზე. გარეშე კაცი მას იგრე ადვილად ვერ მოჰხვდება, და არის ასე ჩვენი დინჯი სიღნაღი გაცხარებულ ბასში თვით ცასთან, სადაც არ მოგინდება თავის ტეხა არც გონების ვარჯიშობაზე, არც ეკონომიური წესების გამოკეთებაზე, არც ერთზე და არც მეორეზე. ეს რაღაც ახალ-მოდნური მიქარვები რომა ტრიალებს სხვა კუთხის ხალხში, მაგალითად, სკოლების გამრავლებაო, შვილების გამოზრდაო და სხვა ამ გვარი მიდებ-მოდება,—ამეებს ისე დაჰშორებია ჩვენი ჭკვიანი სიღნაღი, როგორც თვით ჩინეთს. რასაკვირველია, მე აქ ვამბობ გეოგრაფიულს დაშორებაზე; ხოლო რაც შეეხება გონებრივსა და ზნეობრივს თვისებას, ამ მხრით, მგონი, სიღნაღს ჩინეთის თვით შუაგულში ჰქონდეს ადგილი.

მიმართა თავის ხელქვეეით მოხელეებს; გენერალმა უთხრა მათ დაახლოვებით შემდეგი; „იმედი მაქვს, რომ თქვენში ვპოვებ ნამდვილს რუსულს კაცთა, რუსულის მიმართულების მიმდევართ. Თუ ჩვენ წინ გარდაგვეღობებიან სხვა მიმართულებისანი, მაშინ ეგენი გზიდგან უნდა გადავდგნენ,— თუმცა რომ ოქროთ გაჭედილ ეტლში ისხდენ.

— Ზენერალმა ქახანოვმა თავი იჩინა ენერგიული სიტყვებით; Ოდესის ახალმა გუბერნატორმა, გენერალმა როოპმა კი—ენერგიული ზომებითა, რომლებიც მან Ოდესაში შემოიღო. როოპმა გამოსცა ახალი წესდებულება, რომლის ძალითაც მცხოვრებლებს ეკრძალებათ ყოველ-გვარი იარაღის ტარება; მაღაზიებიდგან იარაღის სასყიდლად საჭიროა პოლიციის ნებართვა. Ფაბრიკებისა და ქარხნების მეპატრონებმა ყურადღება უნდა იქონიონ იმაზე, რომ მუშების შორის ვინმემ არ გაავრცელოს მავნე აზრები, ხმები და აღკრძალული წიგნები. Ამასთანავე აღკრძალულია რაიმე დანიშნულებისათვის ფულების მოგროვება ხელის მოწერით, ან სხვა რომელიმე ღონის-ძიებით მთავრობისაგან ნება-დაურთველად. Სახლების პატრონები, ანუ გამგებელნი ვალდებულნი არიან აცნობონ პოლიციას მომსვლელებისა და წამსვლელების ვინაობა. Ათი ან ოცი სახლის პატრონები ვალდებულნი არიან ერთად დაიქირავონ ორი ღამის მცველი წესიერების დასაცველად და პოლიციისათვის შემწეობის აღმოსაჩენად, თუკი რაიმე უწესოება მოხდა. Თუ Ოდესაში არეულობა დაიწყო, უნდა მოიხმონ დადგენილი ნიშნით ჯარები, უნდა დაჰკეტონ ყველა სახლების ალაყაფის კარები, ტრაქტირები და სხვ.

საზოგადოდ ეს ზომები ბევრად უფრო სასტიკის თვისებისანი არიან, ვიდრე ისინი, რომლებიც ერთს შფოთიანს დროს პეტერბურგში იყვნენ შემოღებულნი.

— Ერთი სამასწავლებლო ოლქის მზრუნველმა აღძრა კითხვა შესახებ იმისა, შესაძლებელია თუ არა ,,ჭაბუკობის (зрѣлости) ატესტატის''მისაღებად ეგზამენების დაჭერის ნება მიანიჭონ სასწავლებლიდგან დათხოვნილ და გამორიცხულ ყმაწვილებს; ეს კითხვა განიხილა სახალხო განათლების სამინისტრომ, რომელმაც დაადგინა, რომ სწავლის გაგრძელების უფლების ჩამორთმევით დათხოვნილთა და გამორიცხულთა ეგზამენის დაჭერის უფლება მიენიჭებათ მხოლოდ განსაკუთრებული და პატივდებაში მისაღები მიზეზის გამო და ისიც სამინისტროს თანხმობით ყოველს თითოეულს შემთხვევაში.

# ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

1 მარტს.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორი თავის უმაღლესს რესკრიპტში, რომელიც გაეგზავნა მოსკოვის გენერალ-გუბერნატორს მისი დიდებულების დაბადების დღეობის გამო, გულითადს მადლობას უძღვნის მოსკოვის ყველა წოდების მცხოვრებთა ერთგულებისა და უქვეშევრდომესი გრძნობის გამოცხადებისათვის.

დღეს განსვენებული ხელმწიფის მოწამებრივი გარდაცვალების დღის გამო, პეტრე-პავლეს სობოროში დანიშნულია პანაშვიდის გადახდა, ხოლო დილის რვა საათზე გადაიხადეს პანაშვიდი ყველა ჯარების ნაწილებში. თეატრები დაკეტილია.

გუშინ საღამოს ვასილის კუნძულზე გადაიწვა ბამბის სართავი ფაბრიკა ბარისოვსკისა, რომელზედაც 500-ზე მეტი კაცი მუშაობდა.

,,ჟურნალ დე სანპეტერბურ'' ამტყუნებს ლონდონის გაზეთების ცნობას, ვითომც რუსეთის მმართებლობას განზრახვა ჰქონდეს დანიშნოს მუდმივი წარმომადგენელი ავღანისტანის ემირის წინაშე.

მოსკოვი. გუშინ ფრინველთა მოშენების გამოფენა დაიხურა; 10 ოქროსი და 39 ვერცხლის მედლები მიიღეს; ბევრმა მიიღო აგრეთვე ბრონძის მედლები და ქების ფურცლები.

პარიჟი. პარიჟის გრაფს, იმის გამო რომ ლიონში ამის მოკვლა განიზრახეს, მოუვიდა ბევრი მილოცვის ადრესები. მარშალმა მაკმაჰონმა ნახა კიდეც გრაფი, რომელიც ამ ჟამად კანნაში იმყოფება.

ქრისტიანია. გაზეთები გვაცნობებენ, რომ მეფემ გარდასწყვიტა დაამტკიცოს სახელმწიფო სამსჯავროს განაჩენი, რომლის ძალითაც მინისტრი - პრეზიდენტი სელმერი სამსახურიდგან დათხოვნილ უნდა იქმნას.

ლონდონი. ინგლისის ბანკმა დისკონტი 3°/₀-მდინ დასწია.

სუაკიმი. დღეს განთიადისას ინგლისის ჯარები დაეცნენ ოსმან-დიჭმის რაზმს [illegible] სიმაგრეები დაიპყრეს.

2 მარტს.

პეტერბურგი. დღეს, ხელმწიფე იმპერატორის რუსეთის ტახტზე ასვლის დღეობის გამო, ქალაქი მორთულია დროშებითა.

პეტრე-პავლეს სობოროში დილის 11 საათზედ დაიწყო მოსახსენებელი ლიტურგია, რომელზედაც დაესწრნენ მათი იმპერატორებითი დიდებულებანი, მემკვიდრე ცესარევიჩი და სხვა სასახლის დიდებულნი.

იონინის მაგივრად ბულგარიაში ელჩად დაინიშნა კაიანდერი, რომელიც ეხლა მინისტრ-პრეზიდენტად არის ჩერნოგორიის მთავართან.

კაირი. შემდეგი მოხსენება გრაჰამისა ამტკიცებს, რომ არაბები საშინლად მედგრად ომობდნენ, ასე რომ წინად საეჭვოდ იყო—გამარჯვება ვის დარჩებოდა; არაბები შემოეჭრნენ ინგლისის ჯარების ერთსკუთხეს და კარტერის სასროლი ზარბაზნები წაართვეს; მაგრამ ინგლისლებმა ორი საათის გაცხარებული ომის შემდეგ ისევ უკან წამოიღეს ეს ზარბაზნები. მტერს დიდი ზიანი მიეცა.

პარიჟი. საფრანგეთის ჯარის ერთმა რაზმმა განიზრახა უკანიდგან მოევლო ბაკნინგისთვის და ამ-გვარად შეეკრა გზა იქ მდგომი გარნიზონისათვის; გარნიზონმა შენიშნა თუ არა საფრანგეთის რაზმის ეს მოძრაობა, შეეშინდა და მაშინათვე დაცალა ციხე. ციტადელში ფრანცუზებმა კრუპპის ზარბაზნების ბატარეიები და მრა-

---

Ერთი სიტყვით, ბევრი ლაპარაკი მეტია. Სიღნაღი უნდა შეადგენდეს ჩვენი ქვეყნის იდეალს, სამაგალითო მაგალითს, რომლიდგანაც უნდა ვსწავლობდეთ უზრუნველს, აუშფოთებელს და წყნარს ცხოვრებას.

Მართლაც, აბა, ერთი თვალი გაუშტერეთ ამ ქალაქს. Რა გეტაკებათ ყველაზე უწინ თვალში? Ისა, რომ Სიღნაღსა აქვს მარტო ერთი პაწაწკინტელა სასწავლებელი და კლუბი კი—ორი. Იქეიფე, რამდენიც გინდოდეს. Დასტკბი, სულო, გამხიარულდი, გულო!

Ერთ კლუბში მოგწყინდა, გასწი მეორეში; თუ იქაც მოგწყინდა, გამოტრიალდი პირველში; თუ მაინც კიდევ მოგწყინდა, გასწი დუქანში, გადაჰკარ, დაწე და გამოიძინე. Მეორე დღეს ისეთი აზდგები, თითქო ახლად-დაბადებულიაო. Სხვა რაღა გინდა!

Ერთი ეს აღონებს Სიღნაღსა, რომ ამ ორ კლუბში რომელიც უფრო უხუცესია, ცოტა დაბერებულა, ჭაღარა შეჰპარებია და, როგორც ეტყობა, სიცოცხლე საეჭვოდ გაჰხდომია. Აზრადებენ შინაგან ავად-მყოფობას, რომელიც მის წევრებს, ალბად დარდის გამო, სულ თმასა და წვერს აგლეჯინებინებს ერთმანეთისთვის. ძალიან შიშობენ სიღნაღელები მის ჯანმრთელობაზე. Თითქმის ხმებიც კი დავარდა, ვითომც საზიარებლად ერთი დარბაისელი მღვდელიც კი მიიყვანეს და ალსარება ათქმევინესო. Ჩვენ ჩვენის მხრით არ დავიშურებთ ანდერძის აგებას და ღმერთმაც საუკუნე განსვენება არ მოაკლოს მას, მაგრამ ვინატრებთ კია, რომ ძველი კლუბის ადგილზე Სიღნაღს მისცემოდეს ათი სხვა პატარ-პატარა, ქორფა კლუბები, რომელთა დღეგრძელობა და სიმრთელე მჭიდროდ იქნება დამოკიდებული იქაური სასწავლებლის დახურვაზე.

Მართლაც და, მგონი, Სიღნაღს, სადაც **12,000** მცხოვრებელია, ის ერთი სასწავლებელი რომ მოესპოს, და, ორი კლუბის მაგიერ, თერთმეტი ზედი-ზედ წამოეჭიმოს, აბა, მაშინ იქნება ნამდვილად სამაგალითო არა მარტო ჩვენში, არამედ მთელს დედა-მიწის ზურგზედაც.

Თუმცა თქვენთვის მეც-დინეობა ძნელია, მაგრამ მაინც ეცადენით, სიღნაღელებო, ცდა ბედის მონახევრეა...

***

Თუმცა ეს უფროსობა ისეთი საამური მაინც ვერ იქნება, როგორც საამურია იმ გვარი გაზეთის ქონა, რომელსაც ძალა-უნებრივად ჰყავს უკვდავი ხელის-მომწერნი და ამიტომ რაც უნდა სწეროს და როგორც უნდა სწეროს, არ დაადგება გასაჭირი საქმე. Აი, როგორც ეხლა გაზეთი «Კავკაზია». Არის თავისთვის არხეინად, მკვიდრად. Რამდენი ჟურნალ-გაზეთი ამოიჭამა ჩვენში. Თითონ-კი ბოძივითა სდგას, თუმცა ნიადაგში არც ერთი ფესვი არ მიუცია მისთვის ღმერთსა და ამიტომ არავითარი ნაყოფიერება მას არ ელირსა არა რაიმე სასწაულით.

Იმისთვის რა ძნელია, რომ ქეიფობდეს ცხოვრების აოხრებას და მასხარადაც იგდებდეს სხვა გაზეთებს, რომელთაც ყოველნაირი გარემოება მოსისხლე მტრადა ჰყავთ გადაქცეული! Არ გვიკვირს და გვიპატიებია მისთვის შემდეგი ტლინკები — «Მშაკი» იმიტომ დაუძლურდა, რომ ხალხში არ არის ადგილობრივი გაზეთების მოთხოვნილებაო, თითო-ოროლა პირის მეცადინეობა აძლებინებდათ მათაო. Მაშ ალბად ჩვენში მარტო «Კავკაზი» შეადგენს ნამდვის მოთხოვნილებას და ამიტომა სდგას ისე ბურჯივით!?... Შეიწყნარე, ღმერთო, უადგილოდ გაამპარტავნებულნი მონანი შენნი...

—

**P. S.** წარსული «საუბარი» დავაბოლოვე ორიოდე სიტყვით ბ. ხუდადვის შენაწირზე სააზნაურო სკოლის სასარგებლოდ. Მეუბნებიან, რად გაგვილანძღე კაციო. Მე დარწმუნებული ვარ, რომ ბ. ხუდადოვი მაინც არ მიიღებდა აგრე ჩემს სიტყვებს. Მომყავს Დავით Ზურამიშვილის ლექსი ჩემი იმ დღევანდელი აზრის გასამართებლად:

«მე ქს ხიდი სავლელად,
დიაღ სწორედ გავდეო;
შენ თუ მრუდად გაიელი,
მე რა წყალში გვარდეო».

Ამის იქით, მგონი, უთანხმოებას აღარ ექნეს ადგილი...

ვალი საომარი მასალები იპოვეს. ფრანცუზებს სულ 70 კაცი მოაკლდათ.

პეშტი. გუშინ დეპუტატთა პალატაში ჰელფიმ გამოაცხადა, რომ საშიშია რუსეთის გერმანიასთან დაახლოვება და კარგადაც არ იმოქმედებს გერმანიისა და ავსტრო-ვენგრიის ურთიერთ შორის დამოკიდებულებაზედაო. ამაზედ ტისსამ უპასუხა, რომ ავსტრო-გერმანიის კავშირს ძალა არ დაჰკარგვია და ისევ გულითადია; თუ სხვა სახელმწიფონიც ემხრობიან ამ კავშირს, ეს იმის სიმტკიცის და მშვიდობიანობის შეურყევლობის ნიშანიაო. იმ ცნობებს, ვითომც რუსეთი ცდილობდეს მეგობრული განწყობილება დაარღვიოს, არავითარი საფუძველი არა აქვთო.

ვენა. 29 თებერვალს აქ ძლიერი მიწის-ძვრა იყო.

3 მარტს.

ხარკოვი. ივნისში იქნება აქ ხალხთა შორებრივი გამოფენა ცხვრებისა.

კაირო. უკანასკნელს ბრძოლაში ინგლისლებს 100 კაცი მოუკვდათ და 150 დაეჭრათ, ხოლო აჯანყებულებს 4300 კაცი მოუკლეს ინგლისლებმა და რამოდენიმე ათასი კაცი დაუჭრეს. ოსმან დიგმამ მთებისკენ დაიწია ხოლო ინგლისლები საჩქაროდ ბრუნდებიან სუაკიმში.

ბერლინი. ოფიციალური „ჩრდილო-გერმანიის საზოგადო გაზეთი'' ჭორებს ეძახის ინგლისურ გაზეთებში გავრცელებულს ხმებს, ვითომც რუსეთსა და გერმანიის შორის შეთანხმება მოხდარიყოს და ამაზედ პროტოკოლებიც შეედგინოთ. არავითარი პროტოკოლები არ არსებობენ, მაგრამ სამთ იმპერიათა შორის ისეთი დამოკიდებულება სუფევს, რომ უკეთესი არ შეიძლებაო.

დეპუტატთა პალატაში შინაურ საქმეთა მინისტრმა დაამტკიცა, რომ ებრაელთა წინაამდეგ ნეიშტეტინში მოხდენილ უწესობის უმთავრესნი დამნაშავენი ისევ ებრაელნი ყოფილან; პირველად ამათ დაუწყიათ უმიზეზოდ ხალხისთვის ქვების სროლა.

პეშტი. აღმოაჩინეს დიდი შეთქმულობა ანარხისტებისა; დააპატიმრეს 36 კაცი; მათ რიცხვში რამდენიმე დედა-კაცია; ბევრი რაღაც ქაღალდები უპოვნეს.

## განცხადებანი

სტეფანე მანველოვის მაღაზია კარგი დარის გამო იაფად ჰყიდის გალანტერიის და მოდის საქონელსა. მალე მიიღებს საქონელს თვით უპირველესი საფიროებისას. (1—1)

ნერსესიან სომეხთა სასულიერო სემინარიის ოჩევაში 14 ამა მარტისას, საღამოს რვა საათზე მოხდება ვაჭრობა (განუმეორებლად) იჯარით გაცემაზე ერთის დუქნისა და სარდაფისა, რომელიც განსვენებული გრიგოლ შერგილოვისაგან არის შეწირული და რომელიც იმყოფება სომხების ბაზარში № 5. პირობების სინჯვა შეიძლება მზრუნველობის კანცელიარიაში ყოველ-დღე, გარდა კვირა და უქმე დღეებისა, დილის 10 საათიდამ 12 საათამდინ. (3—1)

## „გლახის ნაამბობი"

მოთხრობა ილია ჭავჭავაძისა

ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში ფასი 25 კაპ. (3—1)

## ინგლისური რკინის კრაოვატები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაისა და სტოლის კოვზები ჩანგლებით, ფაიფორი, დასადგმელი, პირის-საბანი, სტაქნები, სუფრა, საწყაო, სვები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის სადგმელები, უნაგირები კაცისა და ქალისა, ალვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბადო მაგრატლები, კაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიკები, ზარიადები, კაპსიულები, ხათფანგები, ნაჩბები, კატერპრუფები, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკიტონები და სხ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—71)

## თბილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მარტის 6 რიცხვსა ამა წლისას მისგან დანიშნულია ვაჭრობა იჯარით გაცემაზე ქალაქის იმ ადგილებისა, რომლებზედაც ბუდკებია გამართული მინერალური წყლების გასაყიდად. ვადა იჯარისა იქნება კონტრაქტის შეკვრის დღიდგან, ვიდრე სამ წლამდინ. იჯარით გაიცემიან შემდეგი ადგილები; ერთი გოლოვინის პროსპეკტზე გიმნაზიის ქუჩასთან, ერთი რეიტერის სახლთან, ერთი ანტონოვის სახლთან, ერთი ფოსტის სტანციის პირ-და-პირ, ერთი ალექსანდრეს ბაღთან, სახაზინო პალატის პირ-და-პირ, სამი ერევნის მოედანზე და ერთიც ავლაბარში, სულ ცხრა ადგილი.

იმ პირთ, ვისაც ამ ადგილების აღება სურთ, შეუძლიანთ პირობები სინჯონ ყოველ დღე ორ საათამდინ, გარდა კვირა და უქმე დღეებისა. (3—3)

## ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | | მოსკოვის ჩაის |
|---|---|---|
| 1 მ. 10 კ. | | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | | — — 1—60 |
| — — 1—40 | | — — 1—80 |
| — — 1—60 | | — — 2— " |
| — — 1—80 | | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— " | | — — 3— " |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრავოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, ვასალები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, მოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ ისდის. (100—88)

საგლობუსო  კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდი. ერთად-ერთი სააგენტო — ინგლისის მაღაზია. იქვე აურებელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები, ყოველის „ხელისათვის"—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, საპონი, ცარაშკები ჭურჭლების საწმენდად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალხისათვის კლიონკები, ტახტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბუზმენი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, კატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მაწვნები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომადი, ქამრები, სარტყლები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შპრიტებისთვის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქიმიო ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაშკი—20 კ. (100—53)

## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 მარტიდამ 1 აპრილამდე 1884 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსთის ფქვილისა — | —1 | გირ. | 5 კ. |
| აჭაური ფქვილისა: პირველის ხარისხისა — | —1 | გ. | 3 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | 2½ |
| იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 5 კ. |
| მეორისა — | —1 | გ. | 3½ |
| მესამისა — | —1 | გ. | 3 კ. |
| ჯვარის-მამის პური: | | | |
| პირველის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 5 კ. |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 4 კ. |
| მესამისა — | —1 | გ. | 3½ |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 9 კ. |
| მეორის — | —1 | გ. | 8 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 16 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 10 კ. |
| ღორის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | — კ. |
| მეორის — | —1 | გ. | — კ. |

## რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით.

თბილისიდამ ხაშურამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ 11 საათზედ და 11 წამ. ღამისა.

ბაქოდგან თბილისისკენ 10 საათზედ და 23 წამ. დილის.

ქუთაისიდგან თბილისისკენ 12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ 8 საათ. დილისა.

ფოთიდგან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილისა.

ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში 7 საათ. და 49 წამ. დილისა.

Дозв. цензур. Тифлисъ, 3 Марта 1884 г. (ქ. ხელაძის სტამბა) Типографія Е. Хеладзе). გამომცემელი ზ. ჭართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.